სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/19

(ოქმი N24)

ქ. ბათუმი 29 დეკემბერი 2021 წ

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს წევრების ჰონორარის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ

,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 35[4] მუხლის მესამე პუნქტის თანახმად:

1. დამტკიცდეს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს წევრების ჰონორარის განსაზღვრის წესი, დანართის შესაბამისად;

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს მრჩეველთა საბჭოს 2019 წლის 19დეკემბრის N01-01/27 (ოქმი N29) გადაწყვეტილება, მრჩეველთა საბჭოს წევრთა ჰონორარის ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) ერთი თვის ვადაში მისი გამოქვეყნების დღიდან.

4. გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2022 წლის 01იანვრიდან.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

გიგა ჩხარტიშვილი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს მრჩეველთა საბჭოს წევრების ჰონორარის განსაზღვრის წესი

1. მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 35[4] მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს (შემდგომში „მაუწყებელი") მრჩეველთა საბჭოს წევრების ჰონორარისთვის წლიურად გამოყოფილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს მაუწყებლის წლიური ბიუჯეტის 2 %-ს.
2. მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს წევრების (მრჩევლების) ჰონორარისთვის წლიურად გამოყოფილი თანხა განისაზღვრება მაუწყებლის წლიური ბიუჯეტით და იგი გაიცემა ყოველთვიურად შესაბამისი პროპორციით.
3. ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში ჰონორარის ოდენობის გაზრდის საფუძველი არ შეიძლება იყოს, მაუწყებლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ასიგნების გაზრდა ან/და ჰონორარის მუხლში ნაშთის არსებობა.
4. მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის ჰონორარი შეადგენს მრჩეველთა საბჭოს ჰონორარისთვის გამოყოფილი თანხის 20,6 %-ს, თავმჯდომარის მოადგილის ჰონორარი 20 %-ს, ხოლო მრჩეველთა საბჭოს წევრის ჰონორარი 19,8 %-ს (უახლოეს ნაკლებ ათეულამდე დამრგვალებით).
5. მრჩეველთა საბჭოს წევრის ჰონორარის ოდენობა განისაზღვრება ამ წესის შესაბამისად და შესასრულებლად ეგზავნება მაუწყებლის დირექტორს.
6. მრჩეველთა საბჭოს აპარატი, ინფორმაციას მრჩეველთა საბჭოს წევრების ჰონორარების ოდენობის შესახებ, ხოლო ცვლილების შემთხვევაში შეცვლილი ოდენობის შესახებ, აქვეყნებს მაუწყებლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ბიუჯეტის დამტკიცებიდან არაუგვიანეს ათი კალენდარული დღისა.
7. წინამდებარე წესში ცვლილებების და დამატებებისშეტანა ხდება მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილებით.